

სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი

**ბაკაშვილი ია**

**სასუნთქი სისტემის დაავადებები მოზარდებში (სიხშირე, ხელშემწყობი ფაქტორები, კლინიკური თავისებურებები)**

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დისერტაცია**

14.00.26 – ფთიზიატრია და  
პულმონოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელები: 1. ვაშაკიძე ლამარა  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი  
2. ფაღვა ყარამანი  
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი  
პროფესორი

თბილისი  
2006

## სარჩევი

შესავალი.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა.

1.1. სასუნთქი სისტემის დაავადებები მოზარდებში.

1.1.1. ბრონქული ასთმა.

1.1.2. ტუბერკულოზი.

1.2. სასუნთქი სისტემის დაავადებების ხელშემწყობი ფაქტორები მოზარდებში.

1.2.1. თამბაქოს მოწევა.

1.2.2. ფიზიკური აქტივობა.

თავი II. კვლევის მასალები და მეთოდები.

თავი III. ჩატარებული კვლევის შედეგები.

3.1. მოზარდებში სასუნთქი სისტემის დაავადებების სიხშირის ტენდენციები.

3.2 მოზარდთა გამოკითხვის შედეგები.

3.2.1. სასუნთქ სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები

3.2.2. ფიზიკური აქტივობა.

3.2.3. თამბაქოს მოწევა მოზარდებში.

3.3. ბრონქული ასთმის თავისებურებები მოზარდებში.

3.4. ფილტვის ტუბერკულოზის თავისებურებები მოზარდებში.

მიღებული შედეგების განხილვა.

დასკვნები.

პრაქტიკული რეკომენდაციები.

გამოყენებული ლიტერატურის სია.

## შესავალი

### პრობლემის აქტუალობა.

მოზარდთა ჯანდაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციალური ამოცანაა საზოგადოებისათვის. მოზარდები წარმოადგენენ მომავალ რეპროდუქტიულ, ინტელექტუალურ, ეკონომიურ და სოციალურ რეზერვს სახელმწიფოსათვის. ამ კონტიგენტიდან უნდა შეივსოს შრომითი რესურსი, კომპლექტდება სამხედრო ძალები. არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჯანმრთელი გოგონების აღზრდა, მათი მომზადება დედობისათვის.

მოზარდთა ასაკი 15-დან 18 წ-მდე სოციალური ჩამოყალიბების ეტაპია, როდესაც ადამიანი აღარც ბავშვია, მაგრამ ჯერ არც მოზრდილი. ეს არის ადამიანის ონტოგენეზში კრიტიკული გარდაქმნის პერიოდი, როდესაც ბავშვის ორგანიზმში ხდება მნიშვნელოვანი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები. ეს ასაკი განსაკუთრებით მგრძნობიარეა გარეშე ფაქტორების მიმართ [5,7].

ჩვენი ქვეყნის საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში საზოგადოებრივი განვითარება უკიდურესად რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესს წარმოადგენს. ამ პროცესებს თან სდევს მოსახლეობის ცხოვრების წესის, შრომისა და ყოფაცხოვრების ძირეული შეცვლა. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, დემოგრაფიული პროცესების სპეციფიკა, მოსახლეობის განსახლება, ზოგადი განათლების დონე, ბიოგენეტიკური ფაქტორები, გეოგრაფიული და კლიმატური პირობები, ისტორიული და კულტურული ტრადიციები, რელიგიური აღმსარებლობა, დღის რეჟიმი, კვებითი ჩვევები, ჰიგიენური და სხვა ფაქტორები გავლენას ახდენს მოზარდის ჯანმრთელობაზე.

მოზარდები უფრო იშვიათად, ვიდრე ბავშვები და მოზრდილები, ითხოვენ სამედიცინო დახმარებას, ისინი იშვიათად მიმართავენ ექიმს, იშვიათად ხდება მათი ჰოსპიტალიზაცია. ამიტომ ოფიციალური მონაცემები, დაფუძნებული მათ მიმართვიანობაზე, მნიშვნელოვნად არის დაწეული. უმეტესობა, მათ შორის ჯანდაცვის მუშაკებიც, ფიქრობენ, რომ მოზარდები ჯანმრთელები არიან – აქვთ კარგი ჯანმრთელობა. ამიტომაც პედიატრები ძირითადად შეისწავლიან 15 წლამდე ასაკის

ბავშვებს, ხოლო თერაპევტები – 20 წლის და მეტი ასაკის მოზრდილების ჯანმრთელობის მდგომარეობას, მოზარდთა ასაკი კი პრაქტიკულად უყურადღებოდ რჩება.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, უკანასკნელ წლებში შეინიშნება ავადობის მაჩვენებლების ზრდა მოზარდებში. ამის მიზეზს წარმოადგენს:

- მოზარდების სოციალურად დაუცველობის ზრდა.
- საზოგადოების გულგრილობა მოზარდთა პრობლემის მიმართ.
- მოზარდების ფსიქო-ემოციური დატვირთვის გაზრდა. მათ შორის ახალი ტიპის სასწავლებლების გამოჩენა, სწავლების მაღალი ინტენსივობა.

თუმცა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ბავშვთა სიკვდილიანობა მცირდება, მოზარდთა სიკვდილიანობა უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში არ მცირდება, მატულობს კიდევ. რაც ძირითადად განპირობებულია ტრავმებით, თვითმკვლელობებით, მკვლელობებით და სხვ.

გარდა ამისა მთელ მსოფლიოში იზრდება:

- ქრონიკული დაავადებების რიცხვი.
- მოზარდ ორსულთა რიცხვი.
- სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით, მათ შორის შიდსის ვირუსით დაინფიცირება.
- ნარკომანია და ტოქსიკომანია.

ქრონიკულ დაავადებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სასუნთქი სისტემის დაავადებები. სტატისტიკური მონაცემებით ამ დაავადებით მსოფლიოს ეკონომიურად განვითარებული ქვეყნების მოსახლეობის 5-10 %-ია შეპყრობილი, ხოლო მოზარდთა კი - 9.5 - 12.5 %.

ამდენად, მოზარდებში სასუნთქი სისტემის დაავადებების სტრუქტურის, სიხშირისა და გავრცელების, ხელშემწყობი ფაქტორების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის გზების და კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებების მეცნიერულად დასაბუთებული შესწავლა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

ზემოდაღნიშნულმა განაპირობა კვლევის მიზანი: ბაზისური ინფორმაციის მოპოვება სასუნთქი სისტემის დაავადებების სტრუქტურის, სპექტრის, სიხშირისა და გავრცელების, ხელშემწყობი ფაქტორების, კლინიკური მიმდინარეობის თავისებურებების შესახებ მოზარდებში, 15 დან 18 წლამდე ასაკის გოგონებში და ქაბუკებში.

დასახული მიზნის მისაღწევად ჩვენს წინაშე დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. მოზარდებში სასუნთქი სისტემის დაავადების სიხშირის ტენდენციების განსაზღვრა მთლიანად საქართველოში და საქართველოს რეგიონებში
2. საქართველოს მოზარდებში სასუნთქი სისტემის დაავადებების სიხშირის შესახებ მონაცემების მოპოვება მოზარდების უშუალო გამოკითხვის შედეგად
3. საქართველოს მოზარდების ფიზიკური აქტივობის ამსახველი მასალების მოპოვება მოზარდების უშუალო გამოკითხვის შედეგად
4. საქართველოს მოზარდებში თამბაქოს მოწევის ამსახველი მასალების მოპოვება მოზარდების უშუალო გამოკითხვის შედეგად
5. მოზარდებში ბრონქული ასთმის კლინიკური თავისებურებების დადგენა
6. მოზარდებში ფილტვის ტუბერკულოზის კლინიკური თავისებურებების დადგენა
7. მიღებული მონაცემების საფუძველზე მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული წინადადებების შემუშავება.

მეცნიერული სიახლე: საქართველოს პირობებში კომპლექსური გამოკვლევის შედეგად დადგენილი იქნა მოზარდებში სასუნთქი სისტემის კლინიკური გამოვლინებების, ფიზიკური აქტივობის, თამბაქოს მოწევის სიხშირეები და მათი მამოდიფიცირებელი ფაქტორები. გამოკვეთილი იქნა მოზარდებში ბრონქული ასთმისა და ფილტვის ტუბერკულოზის კლინიკური თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე.

ნაშრომის მეცნიერულ-პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები გამოიყენება მოზარდთა ასაკში სასუნთქი სისტემის დაავადებების პრევენციისკენ მიმართული პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებისათვის. მიღებული მასალები გამოიყენება მოზარდთა ჯანდაცვის და პულმონოლოგიაში მომუშავე საექიმო და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადების პროცესში.

დაცვაზე გამოტანილია შემდეგი ძირითადი დებულებები:

დადგინდა მოზარდებში სასუნთქი სისტემის დაავადებების სიხშირის ტენდენციები მთლიანად საქართველოსა და საქართველოს რეგიონებში.

დადგინდა მოზარდების ფიზიკური აქტივობის ამსახველი მონაცემები და მისი მამოდიფიცირებელი ფაქტორები.

დადგინდა მოზარდებში თამბაქოს მოწევის ამსახველი მონაცემები და მისი მამოდიფიცირებელი ფაქტორები.

დადგინდა მოზარდებში ბრონქული ასთმისა და ფილტვის ტუბერკულოზის კლინიკური თავისებურებები.

შრომის აპრობაცია.

კვლევის მასალები გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრის სასწავლო პროგრამებში სტუდენტებისა და მსმენელებისათვის.

ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოდგენილია და განხილულია სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის ახალი სამკურნალო პრეპარატების დანერგვის ლაბორატორიისა და ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობისა და განვითარების ლაბორატორიის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრისა და ფთიზიატრიისა და პულმონოლოგიის კათედრის თანამშრომლების გაერთიანებულ სხდომაზე (2006.26.06).

დასტამბულია 4 სამეცნიერო შრომა.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:

დისერტაცია წარმოდგენილია ქართულ ენაზე 144 ნაბეჭდი გვერდით და შეიცავს შესავალს, 4 თავს, დასკვნებს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას (231 წყარო), 24 ტაბულას, 20 სურათს.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა

### 1.1. სასუნთქი სისტემის დაავადებები მოზარდებში

რესპირატორული ტრაქტის დაავადებები გავრცელებულია მოზარდთა შორის და შეადგენს გაცდენილი სასკოლო დღეების დაახლოებით 60%-ს წელიწადში. მოზარდებში სასუნთქი სისტემის ინფექციების სიხშირე თითქმის იგივეა რაც მოზრდილებში [6,8,10,11,15,76,93].

ზედა სასუნთქი გზების ინფექციებიდან მოზარდებში ყველაზე ხშირად აღინიშნება ე.წ. “გაცივება”, ალერგიული რინიტი, ინფექციური მონონუკლეოზი, მწვავე ლარინგოტრაქეობრონქიტი, ყივანახველა, ფარინგიტი, მწვავე და ქრონიკული ბრონქიტი. მოზარდებში ხშირია ფრონტალური სინუსიტი ვირუსული ინფექციების სიხშირე ბავშვებსა და ჩვილებში უფრო მაღალია, მაგრამ მოზარდობის პერიოდში ხშირია რეინფექცია [3,76,78,81,90].

ქვედა სასუნთქი გზების ინფექციებიდან მოზარდებში ხშირია *S. pneumoniae* მიერ გამოწვეული ფილტვების ანთება. იმის მიუხედავად, რომ პნევმოკოკური

პნევმონია მოზარდებში უფრო იშვიათად გვხვდება, ვიდრე Mycoplasma, Chlamydia ან ვირუსული პნევმონიები, ის უფრო მძიმედ მიმდინარეობს. მოზარდებს აგრეთვე შეიძლება განუვითარდეთ ქვედა სასუნთქი ტრაქტის სხვა, ნაკლებად გავრცელებული ინფექციები [10,124,218].




### 1.1.1. ბრონქული ასთმა მოზარდებში

#### ეპიდემიოლოგია

ბრონქული ასთმა საკმაოდ გავრცელებულია მოზარდებში. დაახლოებით 4-5 მილიონ ბავშვსა და მოზარდს აქვს ასთმა. მოზარდობის დროს ის ყველაზე ხშირია ფილტვის სხვა დაავადებებს შორის [98,111,124,152,223]. სიხშირე ბიჭებსა და გოგონებში თითქმის იგივეა. აღინიშნება მსოფლიო მატება ასთმის სიხშირეში. მაგალითად 2003 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში 18 წლამდე ბავშვების 12.5%-ს აქვთ ბრონქული ასთმის დიაგნოზი [125]. 1990-იან წლებში ასთმის სიხშირემ საგრძნობლად მოიმატა, რაც არ იყო განპირობებული უბრალოდ დიაგნოსტიკური ტესტების გაუმჯობესებით [79,138]. მისი სიხშირე აშშ-ში 9-12 მილიონს შეადგენს. ქრონიკული დაავადების გამო გაცდენილი სასკოლო დღეების 25% ბრონქულ ასთმაზე მოდის. ის ყველაზე ხშირია ამ ასაკობრივი ჯგუფის ქრონიკული დაავადებებში [118,207]. სხვადასხვა ნაშრომის საფუძველზე, ასთმის სიხშირე აშშ-ს სასკოლო ასაკის ბავშვებს (მოზარდებს) შორის 4-9%-ს შეადგენს. 1964 წლიდან 1980-მდე ასთმის სიხშირემ 17 წლამდე ბავშვებში 50%-ით მოიმატა [83]. დანიაში ასთმის სიხშირემ მოზარდებში ბოლო 15 წელიწადში 5.3%-დან (1986წ.) 11.7%-მდე (2001წ.) მოიმატა [208]. თუ განვიხილავთ კვლევებს, რომლებმაც მოზარდებში ასთმის სიხშირეში 2004 წლამდე მინიმუმ 5 წლის განსხვავება შეისწავლა, ვნახავთ, რომ კვლევათა უმრავლესობა ასთმის სიხშირის ზრდას აღნიშნავს – [22,25,60,69,119,122,123,137]; თუმცა ზოგიერთი კვლევის თანახმად, ასთმის სიხშირე მოზარდებში არ მომატებულა – მაგ. 1992-2000 წლებში შვეიცარიაში ჩატარებული კვლევა [36,112,177], ან დაიკლო კიდეც – მაგ. დიდი ბრიტანეთის მოზარდებში ჩატარებული კვლევისას 1992-2002 წლების მასალაზე [19], ამასთანავე დიდი ბრიტანეთი ბავშვთა ასაკში ასთმისა და ალერგიების საერთაშორისო კვლევის (International Study of Asthma and Allergies in Childhood - ISAAC) მიხედვით მსოფლიოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებოდა [100,188].

საინტერესოა ასთმის გავრცელება მსოფლიოში. ყველაზე მაღალი სიხშირე აღინიშნება დიდ ბრიტანეთში, ახალ ზელანდიაში, ავსტრალიასა და ირლანდიაში (28-36%), ხოლო ყველაზე დაბალი კი – აღმოსავლეთ ევროპაში, ინდონეზიაში,

საბერძნეთში, ჩინეთსა და ინდოეთში [28]. ავსტრალიის სკოლის მოსწავლეებიდან ყოველ მე-4-ს აქვს ასთმა. აგრეთვე წლიური მატება ავსტრალიის მოზარდებში (1.24%) მეტია ევროპის სხვა ქვეყნებთან (0.1-0.4%) შედარებით. იხილეთ მსოფლიო გავრცელება სურათზე 1.



სურათი 1. ბრონქული ასთმის მსოფლიო გავრცელება

<http://www.nationalasthma.org.au/html/strategy/cam/cam005.asp>

## კლინიკური მახასიათებლები

ასთმის მსუბუქი ფორმით დაავადებულ მოზარდებს სიმპტომები შეიძლება საერთოდ არც ჰქონდეთ და მათი პულმონარული ფუნქცია სრულიად ნორმალური იყოს. თუნდაც მეტაქოლინით ან ჰისტამინით, ან ვარჯიშით გამოწვევის შემდეგაც სასუნთქი გზების მაღალი რეაქცია ჰეპერრესპონსივუნესს არ აღინიშნება. თუმცა, ასთმის სიმძიმის ზრდასთან ერთად სასუნთქი გზების ობსტრუქცია უფრო მეტად ვლინდება, ხოლო ტესტებზე რეაქცია კი იზრდება [76,125,171].

ჩვეულებრივ მოზარდობის პერიოდში ბრონქული ასთმის ნიშნები და სიმპტომები უკვე ჩამოყალიბებულია. ვარჯიშს მოყვება ხველა, მსტვენავი სუნთქვა, ქოშინი, რაც მხოლოდ ასთმისთვის არის დამახასიათებელი [76]. თუმცა, გაურკვეველი მიზეზებისდა გამო, ზოგიერთ მოზარდში ვარჯიშის შედეგად მხოლოდ ბრონქოკონსტრიქცია და feeling of tightness დაჭერის შეგრძნება ვლინდება ყოველგვარი ხველისა თუ მსტვენავი სუნთქვის გარეშე; ესეც დაავადების ერთადერთი ნიშანი შეიძლება იყოს. ჩვეულებრივ არსებობს კავშირი ვარჯიშით გამოწვეული ბრონქოკონსტრიქციასა და დაავადების სიმძიმეს შორის. მოზარდობის პერიოდში ასთმისთვის დამახასიათებელია ხანგრძლივი ხველა (არამწველ მოზარდებში), რომელიც ძირითადად გამოწვეულია ვარჯიშით და ჩნდება ღამე ან დილის საათებში. ხშირად სიგარეტის ბოლი აგრეთვე იწვევს ხველის შეტევას.

ასთმით მოავადე მოზარდებში ხშირია ქრონიკული რინიტი და სინუსიტი, შეიძლება ჰქონდეთ ალერგია ატოპური დერმატიტის სახით.

ტაბულაში მოყვანილია ასთმის კლასიფიკაცია სიმძიმის მიხედვით:

ტაბულა 1. ასთმის კლასიფიკაცია სიმძიმის ხარისხის მიხედვით (მკურნალობამდე) [76]

მახასიათებლები ცხარაქტერისტიკის	მსუბუქი	საშუალო	მძიმე
გამწვავების სიხშირე	≤ 1-2-ჯერ / კვირაში.	ხველისა და მსტვენავი სუნთქვის კვირაში 1-2-ჯერზე უფრო ხშირად გამწვავება. შესაძლებელია ანამნეზში აღნიშნავდეს იშვიათ, მაგრამ მძიმე გამწვავებებს.  სასწრაფო სამედიცინო დახმარება საავადმყოფოს მიმღებში ან პოლიკლინიკაში - < 3-ჯერ / წელიწადში.	თითქმის ყოველდღიური მსტვენავი სუნთქვა. ხშირია გამწვავებები, ზოგჯერ მძიმე. აღნიშნება ტენდენცია გამწვავება განვითარდეს უეცრად და მძიმედ.  სასწრაფო სამედიცინო დახმარება საავადმყოფოს მიმღებში ან პოლიკლინიკაში - > 3-ჯერ / წელიწადში.  ჰოსპიტალიზაცია - > 2-ჯერ / წელიწადში, შესაძლებელია ინტუბაცია ცი იყოს საჭირო.  შესაძლებელია ხველის სინკოპესა და ჰიპოქსიური კრუნჩხვების განვითარება.
სიმპტომების სიხშირე	გამწვავებებს შორის კლინიკური ნიშანი თუ სიმპტომი მცირე რაოდენობითაა.	გამწვავებებს შორის ხშირია ხველა და დაბალი ხარისხის მსტვენავი სუნთქვა.	გახანგრძლივებული, დაბალი ხარისხის ხველა და მსტვენავი სუნთქვა თითქმის სულ არის.
ვარჯიშის ტოლერანტობა	ვარჯიშის კარგი ამტანობა, თუმცა ძლიერი ვარჯიში, მაგალითად გახანგრძლივებული სირბილი, შეიძლება ვერ აიტანოს.	ვარჯიშისადმი ტოლერანტობა დაქვეითებულია.	ვარჯიშისადმი ტოლერანტობა ძალიან დაბალია. ზოგჯერ, საერთოდ ფიზიკური აქტივობა შეზღუდულია.
ღამის ასთმის სიხშირე	≤ 1-2 ჯერ / თვეში.	2-3-ჯერ / კვირაში.	ასთმის გამო თითქმის ყოველ ღამე ძილის დარღვევა.
სკოლაში ან სამსახურში დასწრება	კარგი დასწრება.	დაქვეითებული დასწრება.	ცუდი დასწრება.

## ფსიქოლოგიური თავისებურებანი

ასომას საგრძნობლად შეუძლია შეამციროს მოზარდის ცხოვრების ხარისხი [125,179,180]. ამ ასაკში ასთმა პასუხისმგებელია მოზარდის ცხოვრებაში სოციალური პრობლემების წარმოშობაში. დადგენილია, რომ ბრონქული ასთმით მოავადე მოზარდებს აღენიშნებათ ფსიქოსოციალური ადაპტაციის სირთულეები [66,118]. მაშინ, როდესაც მსუბუქი ფორმის ასთმით მოავადე მოზარდი თითქმის არ განსხვავდება ჯანმრთელი მოზარდისაგან ემოციონალურ და/ან ქცევით ასპექტში, მძიმე და საშუალო ფორმის ბრონქული ასთმის მქონე მოზარდი ფსიქოლოგიური ტესტებით დაქვეითებული ემოციურ სტაბილობას აჩვენებენ [76]. მათ უჭირთ ემოციების კონტროლი, მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ წაქეზებასა და მტრულ განწყობას, მეტად აწუხებთ წუხილი, დეპრესია; ხშირად ეცვლება ხასიათი, ნერვიული და ადვილად გაღიზიანებადი არიან [118,189]. ბრონქული ასთმით დაავადებული მოზარდებში ემოციონალური და ქცევითი პრობლემები უფრო ხშირად იჩენს თავს [40,118,216]. მოლოდინის მიუხედავად არ ყოფილა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება კონტროლსა და ასთმით დაავადებულებს შორის საკუთარი თავის აღქმაში, მაგრამ ამ უკანასკნელებმა აღიარეს, რომ თავს ნაკლებად ბედნიერად გრძნობდნენ [118,156]. ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ ბრონქული ასთმით დაავადებული მოზარდებში ქცევითი და ემოციონალური პრობლემების განვითარების რისკი მაღალია, ეს არ მოქმედებს მათ ურთიერთობაზე სხვებთან და საკუთარი თავის იმიჯზე [118].

## მიმდინარეობა

მოზარდობის პერიოდში მიმდინარე ასომას გარკვეული პრობლემები ახასიათებს. ხშირია მოზარდების მხრივ თავისი მდგომარეობის პარადოქსული უარყოფა: მაგალითად, მოზარდებში, რომლებიც აცხადებენ, რომ თავს კარგად გრძნობენ, შესაძლებელია დადგინდეს პულმონარული ფუნქციის სერიოზული დარღვევა, რომელიც მნიშვნელოვან ფიზიოლოგიურ პათოლოგიაზე მიუთითებს [31,76].

ძალიან ხშირია წამლების რეგულარული მიღების განრიგის დარღვევა [58,76]. ეს ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ მკურნალობაში გამოყენებული წამლები, მაგ. კორტიკოსტეროიდები გარეგნობაზე ახდენს გავლენას. აგრეთვე, მოზარდებს დამოუკიდებლობა სურთ და არ უყვართ რაღაცაში დამოკიდებულები იყვნენ უფროსებზე – მოცემულ შემთხვევაში – წამლების მიღებაზე [35,58,120,185,191]. წამლის მიღება გაძნელებულია, რადგანაც ამით მოცემული მოზარდი თავისი თანატოლებისგან განსხვავებული ხდება, რაც მას არ უნდა [58]. რასაკვირველია, ნაწილობრივ ეს სიზარმაცით და უპასუხისმგებლობითაც შეიძლება იყოს განპირობებული [38,41,97,110,173,219].

#### დიფერენციული დიაგნოსტიკა

ქრონიკული ბრონქიტი მოზარდობის პერიოდში გვხვდება მეორედად ისეთი დაავადებების არსებობისას, როგორცაა ცისტური ფიბროზი, ჰუმორალური ანტისხეულების ნაკლებობის სინდრომი, ცილიარული დისკინეზია [27,112].

მოზარდს, რომელიც დიდი რაოდენობით ეწევა სიგარეტს ან მარიხუანას, შეიძლება განუვითარდეს ბრონქული ასთმის მსგავსი ხველა.

გასტროეზოფაგული რეფლუქსი, რომელმაც აგრეთვე იცის გახანგრძლივებული ხველა, მოზარდობის პერიოდში იშვიათია.

### 1.1.2. ტუბერკულოზი მოზარდებში

#### ეპიდემიოლოგია

მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტუბერკულოზის აქტიური ფორმა უვითარდება 8 მილიონს, 3 მილიონი კი კვდება [29,56,230]. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების სიხშირე მოსახლეობის ყველა ასაკობრივ ჯგუფში წლიურად ამერიკაში დაახლოებით 18 ათასს შეადგენს. მაგალითად, 2002-2003 წლებში ინგლისში 15-59 ასაკობრივ ჯგუფში ჰოსპიტალიზაციის 69% გამოწვეული იყო ტუბერკულოზით.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ყოველ წამს მსოფლიოში ვიღაცას გადაედება ტუბერკულოზის ბაცილები. დღეს-დღეობით მოსახლეობის ერთ მესამედს, თითქმის 2 ბილიონს, აქვს ტუბერკულოზი. 2004 წელს ახალი შემთხვევების უმრავლესობა წარმოიშვა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რაც მთელი მსოფლიოს მონაცემების 33% შეადგენს; თუმცა აფრიკაში 400 ახალი შემთხვევაა 100 000 მოსახლეზე. 2004 წელს 1.7 მილიონი სიკვდილი გამოწვეულია ტუბერკულოზით. სიკვდილიანობის მაჩვენებელი უფრო მაღალია აფრიკაში, სადაც აივ/შიდს-მა გამოიწვია ტუბერკულოზის ეპიდემიის სწრაფი ზრდა. 2004 წლისთვის გამოთვლილი ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების გაჩენა წელიწადში 0.6%-ით მატულობს. აღმოსავლეთ ევროპაში (ძირითადად, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში) აღინიშნებოდა სულ მოსახლეზე სიხშირის ზრდა 90-იანი წლებში, მაგრამ 2001-დან აღინიშნება თანდათანობითი კლება [223].

ტაბულაში მოყვანილია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები 2004 წლისთვის ტუბერკულოზის ავადობის (incidence), სიხშირის (prevalence), სიკვდილიანობის (mortality) შესახებ:



ტაბულა 2. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემები.

Estimated incidence, prevalence and TB mortality, 2004								
	Incidence <sup>a</sup>				Prevalence <sup>a</sup>		TB Mortality	
	All forms		Smear-positive <sup>b</sup>					
WHO region	number (thousands) (% of global total)	per 100000 pop	number (thousands)	per 100000 pop	number (thousands)	per 100000 pop	number (thousands)	per 100000 pop
Africa	2 573 (29)	356	1 098	152	3 741	518	587	81
The Americas	363 (4)	41	161	18	466	53	52	5.9
Eastern Mediterranean	645 (7)	122	289	55	1 090	206	142	27
Europe	445 (5)	50	199	23	575	65	69	7.8
South-East Asia	2 967 (33)	182	1 327	81	4 965	304	535	33
Western Pacific	1 925 (22)	111	865	50	3 765	216	307	18
<b>Global</b>	<b>8 918 (100)</b>	<b>140</b>	<b>3 939</b>	<b>62</b>	<b>14 602</b>	<b>229</b>	<b>1 693</b>	<b>27</b>

<sup>a</sup>Incidence - new cases arising in given period; prevalence - the number of cases which exist in the population at a given point in time.

<sup>b</sup>Smear-positive cases are those confirmed by smear microscopy, and are the most infectious cases. pop indicates population.

### კლინიკური მახასიათებლები

მოზარდებში ყველაზე ხშირია ტუბერკულოზის პირველადი ფორმა. მოზარდების უმრავლესობაში ის თითქმის უსიმპტომტომოდ მიმდინარეობს. თუმცა ინფექციის ასეთი მიმდინარე ფორმა წარმოადგენს მთელი შემდგომი სიცოცხლის განმავლობაში დაავადების რეაქტივაციის რისკს, რომელსაც უზიძგებს ასაკი, იმუნოსუპრესია და მალნუტრიცია. ბავშვობაში ინფიცირებულებს დაავადების რეაქტივაცია მოზარდობის პერიოდში შეიძლება დაემართოს, რადგანაც ამ დროს ადგილი აქვს დაჩქარებული ზრდის განმავლობაში მეტაბოლურ სტრესს [59,72,76].

მოზარდთა იმ მინიმალურ რაოდენობაში (<5%), რომლებსაც ტუბერკულოზის სიმპტომური ფორმა ახასიათებთ, ჩვეულებრივ არასპეციფიური სიმპტომები

ვლინდება: ცხელება, ანორექსია, შეუძლოდ ყოფნა, წონაში კლება, ღამის ოფლიანობა. ზოგჯერ, ადგილი აქვს ორგანოსპეციფიკურ სიმპტომებსაც [76].

სასუნთქი სისტემის ჩართვა თავიდან მანიფესტირდება უნახველო ხველით. სისხლნარეგ ნახველიანი ხველასა (ჰემოპტიზით) და გულმკერდის ტკივილს შეიძლება ადგილი ჰქონდეს რეაქტივაციის ან შორსწასული დაავადების დროს [76,229].

ტუბერკულოზის მქონე პაციენტებში შესაძლებელია ფსიქოლოგიური თავისებურებების არსებობა [116].

### მიმდინარეობა

დაავადების დროული დიაგნოსტიკისა და სათანადო მკურნალობის ჩატარებისას ტუბერკულოზი მოზარდებში მინიმალურ დაავადებია და სიკვდილიანობას იწვევს [76,94,145,226].

### დიფერენციული დიაგნოსტიკა

დიფერენციული დიაგნოსტიკა უნდა გატარდეს ბაქტერიული, ვირუსული და სოკოვანი ინფექციებში, სარკოიდოზსა და სიმსივნეებს შორის. დიაგნოზი ემყარება კლინიკურ სურათს, ანამნეზს, ფიზიკალურ დათვალიერებას, ლაბორატორიულ მაჩვენებლებსა და დათესვის შედეგებს. ზოგჯერ ტუბერკულოზი და მსგავსი დაავადება თანხვედება. ამ დროს საჭიროა მათი ზუსტი გამიჯვნა და ცალ-ცალკე მკურნალობა [76,165].

## 1.2. სასუნთქი სისტემის დაავადებების ხელშემწყობი ფაქტორები მოზარდებში

სასუნთქი სისტემის დაავადებები საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა ყველა ასაკობრივ პერიოდში, მათ შორის მოზარდებშიც. ცნობილია, რომ სასუნთქი სისტემის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორებია თამბაქოს მოწევა და არასაკმარისი ფიზიკური ვარჯიში და გაკაჟება [80,108,121,146,164,199,209,224,228].


### 1.2.1. თამბაქოს მოწევა მოზარდებში

#### ეპიდემიოლოგია

თამბაქოს მოწევა პირველად 1526 წელს ესპანელი ისტორიკოსის მიერ იყო აღწერილი, როგორც ინდიელების ერთ-ერთი მავნე ჩვევა [183,190,197]. მაგრამ თამბაქოს ჯანმრთელობისთვის მავნებლობაზე ფართოდ მხოლოდ და მხოლოდ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებში ალაპარაკდნენ. ეს ნამდვილად გასაკვირია, ყურადღებაში თუ მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად თითქმის 2 მილიონი ადამიანი იღუპება თამბაქოს მოწევისგან, მათგან ნახევარი 70 წლის ასაკამდე. განვითარებულ ქვეყნებში სიკვდილიანობის 20% გამოწვეულია მოწევით. 1995 წელს ინგლისში თამბაქოს მოწევით 150 ათასი სიკვდილი იყო რეგისტრირებული, ნახევარი მილიონი – ამერიკის შეერთებულ შტატებში [190]. 1990 წელს განვითარებულ ქვეყნებში მამაკაცების სიკვდილიანობის 24%-ზე პასუხისმგებელი იყო თამბაქო, 7% - ქალებში. ეს ციფრი მერყეობდა 40%-მდე მამაკაცებში ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ჩათვლით და 17%-მდე ქალებში აშშ-ში. გამოთვლილია, რომ თამბაქოს მიერ გამოწვეული სიკვდილიანობის წლიური მაჩვენებელი 1990 წლის 3 მილიონიდან 2020-2030 წლებში 10 მილიონამდე აიწევს [46,47,162,217].

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, სიგარეტი თავისი მომხმარებლის ნახევარს კლავს, მათ ნახევარს კი 35-დან 69-მდე ასაკში. არც ერთი სხვა პროდუქტი არ არის ისე სახიფათო ან არ კლავს იმდენ ხალხს, როგორც თამბაქო. თამბაქოთი გამოწვეული სიკვდილი შიდს-ით, ნარკოტიკებით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით, მკვლელობებითა და თვითმკვლელობებით გამოწვეული

სიკვდილების ჯამზე მეტია. მე-20 საუკუნეში თამბაქოს 0.1 ბილიონი ადამიანი ემსხვერპლა. 10-ჯერ მეტის სიკვდილი მოსალოდნელია 21-ე საუკუნეში. მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2000 წლისათვის ირიცხება 4.2 მილიონი სასიკვდილო გამოსავალი: მამაკაცები – 3.4 მილიონი (ინდუსტრიალიზირებული ქვეყნები – 1.6 მლნ, განვითარებადი ქვეყნები – 1.8 მლნ), ქალები – 0.8 მილიონი (ინდუსტრიალიზირებული ქვეყნები – 0.5 მლნ, განვითარებადი ქვეყნები – 0.3 მლნ). თითო ღერ სიგარეტს თქვენი სიცოცხლის 7 წუთი მიაქვს [221].



სურათი 2. 1950 წლიდან 2030 წლამდე თამბაქოს მიერ გამოწვეული წლიური სასიკვდილო შემთხვევები.

### ჯანმრთელობაზე გავლენა

თამბაქოს მოწევა ძირითადი მიზეზია ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების – ქრონიკული ბრონქიტი და ემფიზემა. თამბაქოს მოწევა შეერთებულ შტატებში წლიურად 80 ათას სიკვდილს იწვევს ფილტვის დაავადებით, მათ შორის ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, გრიპი, პნევმონია და სხვ.

სიგარეტის მოწევა რესპირატორული სისტემის ყველა კომპონენტში მრავლობით პათოფიზიოლოგიურ ეფექტს იწვევს (იხ. ტაბ. 3) [86,109,148,153].

ტაბულა 3. პათოფიზიოლოგიური ცვლილებები სასუნთქ სისტემაში, გამოწვეული სიგარეტის მოწევით [187].

- ცვლილებები ცენტრალურ სასუნთქ გზებში
  - წაშლამების შეთხელება loss of cilia
  - ლორწოვანი ჯირკვლის ჰიპერპლაზია
  - ფილისებრი უჯრედების გაზრდილი რაოდენობა
  - ნორმალური ფსევდოსტრუქტურული ცილიარული ეპითელიუმის რეგრესია ბრტყელუჯრედოვან მეტაპლაზიამდე, კარცინომამდე in situ, საბოლოოდ კი ინვაზიური ბრონქოგენული კარცინომის განვითარებამდე
- ცვლილებები პერიფერიულ სასუნთქ გზებში
  - ანთება და ატროფია
  - ფილისებრი უჯრედების მეტაპლაზია
  - ბრტყელუჯრედოვანი მეტაპლაზია
  - ლორწოვანი საცობები / დაცობა mucus plugging
  - გლუვი კუნთების ჰიპერტროფია
  - პერიბრონქიალური ფიბროზი
- ცვლილებები ალვეოლებსა და კაპილარებში
  - პერიბრონქიალური ალვეოლების დესტრუქცია
  - მცირე არტერიების შემცირებული რაოდენობა
  - ბრონქოალვეოლური გამრეცხი სითხის lavage fluid პათოლოგია
  - IgA და IgG მომატებული მაჩვენებლები
  - აქტივირებული მაკროფაგებისა და ნეიტროფილების მომატებული შემცველობა
- ცვლილებები იმუნურ სისტემაში
  - პერიფერიულად ლეიკოციტების მომატებული რაოდენობა
  - პერიფერიულად ეოზინოფილების მომატებული რაოდენობა
  - შრატის IgE მომატებული დონე
  - შემცირებული რეაქტივობა კანის ალერგიის სინჯზე lower allergy skin test reactivity
  - დაქვეითებული იმუნური პასუხი ჩასუნთქულ ანტიგენებზე

დასავლეთის სამყაროში კიბოთი სიკვდილიანობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს თამბაქოს მოწევა – დაახლოებით 30%-ს შეადგენს. მწვევლებს კიბოსგან სიკვდილობა ორჯერ უფრო მაღალი აქვთ არამწვევლებთან შედარებით. სწორედ თამბაქო ითვლება უკანასკნელ 35 წელიწადში კიბოსგან სიკვდილიანობის გაზრდაში პასუხისმგებელი [148,198]. ფილტვის კიბო ორივე სქესში კიბოთი სიკვდილიანობის ყველაზე ხშირი გამომწვევად ითვლება. ფილტვის კიბოთი სიკვდილის მიზეზი 80%-ში თამბაქოს მოწევაა (კაცებში 90%, ქალებში 79%). ბევრი ეპიდემიოლოგიური კვლევა ამტკიცებს კავშირს თამბაქოს მოწევასა და კიბოს განვითარებას შორის. ფილტვის კიბოს განვითარების რისკი უფრო მაღალია 22-ჯერ მამაკაც მწვევლებისთვის და 12-ჯერ ქალი მწვევლებისთვის.

კიბოს განვითარების რისკის ქვეშ აგრეთვე სხვა, ბოლთან პირდაპირ კავშირში მყოფი ორგანოებია: პირის ღრუ, ხორხი, საყლაპავი. არსებობს მონაცემები, რომ მწვევლებში უფრო მაღალია აგრეთვე სხვა ორგანოების კიბოს განვითარების რისკიც, მაგალითად 2-3-ჯერ უფრო ხშირია თირკმლისა და შარდის ბუშტის კიბოს განვითარება. პანკრეასის კიბოსგან სიკვდილის 30% დაკავშირებულია მოწევასთან, მწვევლებში კუჭის კარცინომის განვითარება თითქმის 50%-ით მატულობს.

ბოლო ხანს დადგინდა ისიც, რომ მოწევა ხელს უწყობს ინსულინისადმი რეზისტენტობის განვითარებას, თითქმის აორმაგებს დიაბეტის განვითარების რისკს. არსებობს კავშირი ოსტეოპოროზისა და მოწევას შორის. ყველასათვის ცნობილია, რომ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება ბევრად უფრო გავრცელებულია მწვევლებში. საინტერესოა ისიც, რომ ღვიძლის ციროზით სიკვდილიანობა ხუთჯერ უფრო მაღალია მწვევლებში.

მწვევლებში მეტი რისკია არამარტო სხვადასხვა კიბოს, უფრო მეტად კი – ფილტვის კიბოს, განვითარებისა, მაგრამ აგრეთვე გულის დაავადებების, ინსულტის, ემფიზემისა და სხვა ფატალური ან არაფატალური დაავადების. [221] ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, თამბაქო პასუხისმგებელია ფილტვის კიბოს განვითარებისა 90%-ში, ქრონიკული ბრონქიტისა და ემფიზემის – 75%-ში, გულის იშემიური დაავადების – 25%-ში [221].

თამბაქო არა მარტო სიკვდილიანობასა და სხვადასხვა დაავადებებს იწვევს, ის მაგნე გავლენას ახდენს ადამიანის მთელ ორგანიზმზე. თამბაქოს გამოყენებით ყველაზე უფრო ზარალდება: **თმა** – აქვს სუნი და ილაქება; **ტვინი** – ინსულტი; დამოკიდებულების შეგრძნება; ტვინში ქიმიური პროცესების დარღვევა; წუხილი თამბაქოს მიერ გამოწვეული მავნებლობის შესახებ; **თვალე** – წვის შეგრძნება, თვალეი წყლიანია, ხშირია დახამხამება; სიბრმავე გამოწვეული მაკულარული დეგენერაციით; კატარაქტა; **ცხვირი** – ყნოსვის დაქვეითება; **კბილები** – დალაქავება, გაყვითლება; კბილის ქვის გაჩენა; კბილების მორყევა; ღრძილების დაავადება; **პირი, ყელი** – ტუჩის, პირის, ყელის და ხორხის კიბო; ყელის ტკივილი; გემოს დაქვეითება; თამბაქოს სუნი პირიდან; **კანი** – ნაოჭები, ნაადრევი დაბერება; **ხელები** – ცუდი ცირკულაცია (ცივი ხელები), პერიფერიული ვასკულარული დაავადება; კუპრის ლაქები თითებზე; **გული** – ავნებს, ასუსტებს, ახშობს გულის არტერიებს; გულის შეტევა; **სუნთქვა, ფილტვები** – ფილტვის კიბო; ხველა, ნახველი, ქოშინი; გაცივება და გრიპი, პნევმონია, ასთმა; ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება და ემფიზემა; ართულებს ტუბერკულოზს; **გულმკერდი** – საყლაპავის კიბო; **მუცელი** – კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული; კუჭის, პანკრეასის, ნაწლავის კიბო; აორტის ანევრიზმა; **ღვიძლი** – კიბო; **თირკმლები, შარდის ბუშტი** – კიბო; **მამაკაცის რეპროდუქტოლოგია** – სპერმატოზოიდების დეფორმაცია, მოძრავობის შემცირება, რაოდენობის დაქვეითება; უნაყოფობა; იმპოტენცია; **ქალის რეპროდუქტოლოგია** – ტკივილი მენსტრუაციის დროს; ნაადრევი მენოპაუზა; საშვილოსნოს ყელის კიბო; უნაყოფობა, ჩასახვის გამწელება; **ფეხები, ტერფები** – ფეხებში ტკივილი და განგრენა, პერიფერიული ვასკულარული დაავადება; ბერგერის დაავადება; **ძვლები** – ოსტეოპოროზი; ხერხემლისა და ბარძაყის მოტეხილობები; **სისხლი** – ლეიკემია; **იმუნური სისტემა** – დაქვეითებული იმუნიტეტი; **ენდოკრინული სისტემა** – ინსულინ-დამოუკიდებელი დიაბეტი; **ჭრილობები, ქირურგია** – ჭრილობებს შესახორცებლად მეტი დრო სჭირდება; ქირურგიის შემდგომი გამოჯანმრთელების პერიოდი გახანგრძლივებულია [221].



## მოზარდები

თამბაქოს მოწვევა მოზარდებში სარისკო ქცევის ყველაზე ხშირი კომპონენტია [16,34,61,63,67]. მისი დაწყება ხშირად დაკავშირებულია თანატოლების გავლენასთან, არასტაბილურ სოციალურ მდგომარეობასთან, თავისი თავის დაქვეითებულ პატივისცემასთან [84,91,99,135,170,174]. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით მწველთა უმრავლესობა მოწევას მოზრდილობის ასაკამდე იწყებს. იმ ახალგაზრდებს შორის, ვინც ეწევა, დაახლოებით ერთ მეოთხედს პირველი სიგარეტი 10 წლამდე მოუწევია [163,221].

რამდენიმე ფაქტორი ზრდის მოზარდებში სიგარეტის მოწვევის რისკს: თამბაქოს პროდუქციის აგრესიული რეკლამა, პროდუქტის ადვილი მისაწვდომობა, დაბალი ფასი, თანატოლების გავლენა, მწველი მშობლები. სიგარეტი ხშირად მოზარდს თვითმეფასებას უზრდის. მაგალითად, 5%-მდე მოზარდებისა ბაჰამის კუნძულებზე, ბარბადოსზე, კოსტა რიკაში, ინდონეზიაში, პოლონეთში, რუსეთში, სინგაპურში, უკრაინაში, ვენესუელაში ფიქრობს, რომ მწველი გოგონები უფრო მიმზიდველად გამოიყურებიან; ხოლო 40%-ზე მეტი ახალგაზრდა ფიჯიზე, განაში, ნიგერიაში, სამხრეთ აფრიკაში, შრი ლანკაში, ზიმბაბვეში კი იმას, რომ მწველ ბიჭებს მეტი მეგობარი ყავთ. [212,213,221].

მოზარდობის ასაკში თამბაქოს მოწევასთან დაკავშირებულია ასთმის სიხშირის მატება [21,74,89,142,166,168,204,211,214].

მოზარდებში სიგარეტის მოწვევა არა მარტო რესპირატორული დაავადებების სიხშირეს ზრდის [14,18,102], არამედ აგრეთვე - არახელსაყრელ ფიზიოლოგიურ და მეტაბოლურ ცვლილებებსაც იწვევს. მართალია თამბაქოს გამოყენებით გამოწვეული ყველაზე სერიოზული მავნებლობა მოწვევის ათწლეულების შემდეგ ვლინდება, მაგრამ მყისიერი უარყოფითი ეფექტებიც არსებობს. რაც უფრო დაბალია მოწვევის დაწყების ასაკი, მით მეტია რისკი ზემოხსენებული დაავადებების განვითარების [221].

ახალგაზრდებში მოწვევის ყველაზე მაღალი სიხშირეებია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ინდოეთში, წყნარი ოკეანის ზოგიერთ კუნძულზე [221]. არსებობს მოწვევის სიხშირეებს შორის გენდერული განსხვავება [215].

საერთაშორისო მონაცემებით მოზარდებში მოწვევის სიხშირე მერყეობს 10.6%-დან 47.2%-მდე და 25%-75% - რეგულარულად [33,42,45,46,75,106,117,123,140,141,175,186,201,225]. მოწვევის დაწყების ასაკი მერყეობს 12.1 და 14.5 წელს შორის [33,39,42,117].

## 1.2.2. ფიზიკური აქტივობა მოზარდებში

პიროვნების სრულყოფილი განვითარებისა და მანვე ჩვევების თავიდან ასარიდებლად ფიზიკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა საყოველთაოდ არის ცნობილი [1,9,13,26,54,107,113,150,151]. არსებობს მონაცემები ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკურ აქტივობას შორის მჭიდრო კავშირის შესახებ როგორც მოზარდ, ასევე ზრდასრულ ასაკში [1,2,4,7,26,155,178]. ფიზიკური აქტივობა ჯანმრთელობის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, მითუმეტეს ბავშვებსა და მოზარდებში. ფიზიკურ აქტივობაში იგულისხმება ის ქმედებები, რომელიც აძლიერებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კარგად ყოფნასა და განვითარებას და ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას [26,178]. ფიზიკური აქტივობა ასოცირებულია ძვლებისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკეთეს მდგომარეობასთან, აგრეთვე გარკვეული სიმსივნის წარმოშობის რისკი კლებულობს [62,64,65,68,77,87,88,103,144,167,205]. ისიც კი არის ნაჩვენები, რომ ფიზიკური აქტივობის საკმარისად მაღალი დონის შემთხვევაში ჯანმრთელობისთვის მანვე მოზარდების ქცევა (თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია) ნაკლებად არის გამოხატული [55,70,71,140,160,161,227,206]. ფიზიკური აქტივობა და სპორტში ჩართვა იცავს სტრესისგან, დეპრესიისგან, ამცირებს მოზარდებში სარისკო ქცევასა და ჯანმრთელობისთვის მანვე ჩვევების ჩამოყალიბებას (მოწევა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი) [24,37,51,70,71,176]. ფიზიკურ ვარჯიშთან დადებით კორელაციაშია პირადი წარმატებულობის აღქმა [52,147]. ფიზიკური ვარჯიშის ნაკლებობა და ე.წ. მჯდომარე ცხოვრების წესი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და მოზარდებში ჯანმრთელობისთვის მანვე ქცევის სიხშირეს ზრდის [26,70,71,149,161].


საინტერესოა, რომ ოჯახში მშობლების განათლების მაღალი დონე ისევე როგორც უკეთესი მატერიალური მდგომარეობა დადებითად არის დაკავშირებული მოზარდებში ფიზიკური აქტივობის მაღალ დონესთან [20,88]. მეზობლობაში მაღალი კრიმინალური დონე კი – უარყოფით კავშირში იმყოფება ფიზიკური აქტივობის მაჩვენებლებთან მოზარდებში [88]. ოჯახის სოციალური სტატუსი პირდაპირ დამოკიდებულებაშია მოზარდის ფიზიკურ აქტივობასთან [70,71,169,181,182,200].

მოზარდში ფიზიკური აქტივობის ჩვევების ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს თამაშობს სკოლაში ფიზიკური განათლების არსებობა [73,87,105,210].

მოზარდობაში ჩამოყალიბებული ჩვევები ხშირად ზრდასრულ ასაკშიც თან სდევს [12,20,85,87,104,134,204].

სპორტში დაბალი ჩართულობა ასოცირებულია სომატური ჩივილების უფრო მაღალ სიხშირესთან [57,71,143,194,196], ხოლო ფიზიკური აქტივობის მაღალი დონე დაკავშირებულია კეთილდღეობის უფრო მაღალ აღქმასთან და სარისკო ქცევის უფრო დაბალ მაჩვენებლებთან.

სქემაზე მოცემულია ფიზიკური აქტივობის, ფიტნესის, მემკვიდრეობის, ჯანმრთელობის, ცხოვრების წესის ურთიერთკავშირი:



სურათი 3. ფიზიკური აქტივობის, ფიტნესის, მემკვიდრეობის, ჯანმრთელობის, ცხოვრების წესის ურთიერთკავშირი [127].

სასუნთქი სისტემის პათოლოგიის მქონე ნებისმიერ ახალგაზრდას საშუალება უნდა მიეცეს, ფიზიკური ვარჯიშის პოტენციალი გაზარდოს [43]. მაგალითად, ისეთ დაავადებებს, როგორცაა ბრონქული ასთმა და მუკოვისციდოზი, შეუძლია ახალგაზრდებს ხელი შეუშალოს სპორტში მონაწილეობაში. თუმცა კი დამტკიცებულია, რომ რეგულარულ აერობულ ვარჯიშსა და სიმძიმეების აწევას (კულტურიზმი) მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური და ფიზიკური სარგებელი მოაქვს სასუნთქი სისტემის დაავადებების მქონე ადამიანებისთვის [95,115,220].

## 2. კვლევის მასალები და მეთოდები

კვლევა კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური ხასიათისაა. იგი მოიცავს შემდეგ მეთოდებს: კლინიკური მასალის რეტროსპექტულ ანალიზს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო სტატისტიკის ცენტრის მასალების ანალიზს, მოზარდების ანონიმურ გამოკითხვას მთლიანად საქართველოში. გამოკითხვის მეთოდიკა ქვემოთ დეტალურადაა წარმოდგენილი.

გამოკითხვის ზოგადი დიზაინი

მოსახლეობის ან მოსახლეობის სეგმენტის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების მოგროვების არსებობს 3 ძირითადი გზა. პირველი ეს არის პირადი საუბარი, ჩვეულებრივ, სახლში გამართული ინტერვიუ. ეს არის სარწმუნო მეთოდი, მაგრამ ძალიან ძვირი იმ შემთხვევაში, თუ მიზნად დასახულია რამდენიმე ასეული ადამიანის გამოკვლევა. საქართველოს კონტექსტში ამ მეთოდის გამოყენება კიდევ იმიტომაც ჩაითვალა არამიზანმიმართულად, რომ იმ რეგიონებში, სადაც სამიზნე პოპულაციის რაოდენობა პროცენტულად დაბალი იყო, ვალიდური მონაცემების მისაღებად რესპონდენტთა რიცხვი მაღალი უნდა ყოფილიყო. მეორე მეთოდი ეს არის კომპიუტერიზებული სატელეფონო გამოკითხვის მეთოდი, რომელიც, მაგალითად, აქტიურად გამოიყენება საფრანგეთში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების მოსაგროვებლად როგორც ზოგად პოპულაციაში, ასევე მოზარდებში [23]. საქართველოში ყველა სახლი როდია აღჭურვილი სატელეფონო კავშირით, მითუმეტეს კი ეს ეხება სოფლებს, სადაც სატელეფონო კავშირი ზოგან არც კი არის გაყვანილი. მობილური ტელეფონები ფართოდ გამოიყენება, მაგრამ ის არ გვამძლევს წარმოდგენას ოჯახების შესახებ. ამავე დროს ცენტრალურად დედაქალაქში ხელმოყრილია მდიდარი სტატისტიკური მასალა სკოლების, კლასებისა და სკოლის მოსწავლეების შესახებ, რამაც საშუალება მოგვცა სკოლაზე დაფუძნებული გამოკითხვა ჩაგვეტარებინა. მსგავსი გამოკითხვების ჩასატარებლად ახალგაზრდებთან კავშირის სხვა გზებიც არსებობს, მაგრამ ამის სკოლაში გაკეთება მაინც საუკეთესო გზას წარმოადგენს [49,50,55,172,184].

შვეიცარიის გუნდმა მსგავსი გამოკითხვის ჩატარებისას გამოიყენა თვით-შესავსები კითხვარი [139]. გადაწყდა მსგავსი მეთოდის გამოყენება, რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემდა მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზის ჩატარებისა [17,130-133]. რასაკვირველია მოხდა საჭირო ადაპტაცია. გამოკითხვის დაგეგმვა და დანერგვა დაფუძნებული იყო მოცემულ სფეროში არსებულ სტრატეგიულ და ეთიკურ სტანდარტებს [23,30,53,55,114,136,195].

პროექტი დაიწყო 2002 წლის მაისში და რამდენიმე სტადიას მოიცავდა: პირველ ეტაპზე, რომელიც 12 თვეს გაგრძელდა, ჩატარდა წინასწარი სამუშაო, რომელიც მოიცავდა კითხვარის თარგმანსა და ადაპტირებას, და თბილისსა და რეგიონებში ცენტრალური პოლიტიკური და ადმინისტრაციული ხელისუფლებასთან გამოკითხვის ჩატარების შეთანხმება. ამ პერიოდმა წინასწარდაგეგმილზე ოდნავ მეტი დრო წაიღო. ამ დროს ლოზანის ჯგუფი თბილისიდან მოწოდებული სკოლებისა და კლასების სიებიდან მონაწილეების შერჩევას ახორციელებდა. მეორე ეტაპზე (6 თვე) ჩატარდა საველე სამუშაოები – მონაცემთა მოგროვება. მესამე სტადია კი მოიცავდა მონაცემების შეყვანას (EpiData) და სტატისტიკურ დამუშავებას (SPSS).

## კითხვარი

შვეიცარიაში გამოყენებული კითხვარი “SMASH-2002” 93 შეკითხვისგან შედგება. ის ეფუძნება როგორც 1993 წელს გამოყენებულ კითხვარს, ასევე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში მოზარდთა ჯანმრთელობის გამოსაკვლევად ჩატარებული მრავალი კვლევის შედეგებს [23,49,184,231]. მასში აგრეთვე ჩართულია “მოზარდებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევის შემსწავლელი გამოკითხვის” ელემენტები, რომელიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იყო დაფინანსებული [55]. კითხვარი ფოკუსირებულია მოზარდების ჯანმრთელობასა და ცხოვრების წესზე, აგრეთვე აღწერს რისკ-ფაქტორებსა და პირად მოსაზრებებს.

ქართულ ენაზე თარგმნილი კითხვარი წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სოციალური (მაგ. მშობლების კომიტეტი) ხელისუფლების წარმომადგენლების წინაშე. მათი შენიშვნების საფუძველზე ამოღებული იყო ზოგიერთი შეკითხვა სექსუალობასთან დაკავშირებით. თუმცა დარჩა ყველა შეკითხვა ნარკოტიკების გამოყენებასთან დაკავშირებით. შეკითხვები ენაზე, რელიგიაზე და ნაციონალობაზე შეცვლილი იყოს ადგილობრივი სიტუაციის გათვალისწინებით.

ამგვარად, პირველ ეტაპზე მოხდა კითხვარის გერმანული და ფრანგული ვერსიების თარგმნა ქართულ ენაზე, შემდეგ კი სიზუსტისათვის მოხდა უკუთარგმანი ქართულიდან ინგლისურ ენაზე. შემდეგ მოხდა კითხვარის თარგმნა ქართულიდან რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

აუცილებელი იყო კითხვარის დიზაინის, შინაარსისა და ენის სისწორის შემოწმება უშუალოდ საქართველოს მოზარდებში. რისთვისაც მოხდა კითხვარის პრეტესტირება სპეციალურად შექმნილ ფოკუს-ჯგუფებში. მონაწილეებმა შეავსეს კითხვარები და შემდეგ მოაწყვეს დისკუსია წინასწარ მომზადებული შეკითხვების მიხედვით [129,132,133,193]. ფოკუს-ჯგუფი შედგებოდა 8-12 მოზარდისაგან. ორი ჯგუფი წარმოდგენილი იყო სამედიცინო კოლეჯის მოსწავლეებით, ორი – საშუალო სკოლის მოსწავლეებით და ერთი – არაფორმალური თოვლის გუნდის მსგავსი სისტემით იყო ფორმირებული. ყველა ჯგუფი თბილისში იყო განლაგებული, ოთხი

იყო ქართულ-ენოვანი, ერთი – რუსულენოვანი. ორსაათიანი სესიების დროს განიხილეს კითხვარის შინაარსი, შეკითხვების ენა და თუ რამდენად მისაღები იყო იგი ახალგაზრდებისთვის.

საბოლოო შეთანხმებისთვის კითხვარი წარდგენილი იყო ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, განათლების სამინისტროში, ახალგაზრდობის საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტში, ახალგაზრდობის პარლამენტში. აგრეთვე საეკლესიო და მშობლების კომიტეტებიდან წარმომადგენლების წინაშე. ამ განხილვას შედეგად მოყვა ის, რომ ამოღებულ იქნა სექსუალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი შეკითხვა, აგრესიასა და ნარკოტიკების გამოყენების შემსწავლელი შეკითხვები დატოვეს. საბოლოო ვერსია 87 შეკითხვისგან შედგება (555 საკითხი). ტაბულაში მოცემულია საქართველოში გამოყენებული კითხვარის ძირითადი საკითხები (იხ. ტაბ.4). კითხვარები ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე მოცემულია დანართში.



ტაბულა 4. კითხვარში ასახული ძირითადი საკითხები

	გამოსავალი	
ჯანმრთელობის მახასიათებლები	ჯანმრთელობის მდგომარეობა	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა
სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები  კულტურული კონტექსტი  განათლება	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებანი	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ქცევა: <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება</li> <li>▪ ძალადობა</li> <li>▪ კვების თავისებურებები</li> </ul>
საკუთარი რესურსები  პრობლემებთან ბრძოლის მეთოდები	ფიზიკური ჯანმრთელობის სტატუსი	პროფილაქტიკური ქცევა  თავისუფალი დრო  სპორტი
რისკ-ფაქტორები  ცხოვრების წესი  მომავლის მოლოდინი	ფსიქიკური ჯანმრთელობა  ქრონიკული მდგომარეობები  ფუნქციური შეზღუდვები  ტრავმები	ექიმთან მიმართვა  წამლების გამოყენება

## შერჩევა (სემპლინგი)

სამიზნე პოპულაციის პროცენტის ზუსტად დადგენა რთული იყო. ჩატარდა კონსულტაციები ადგილობრივ ექსპერტებთან – განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მოზარდების ექიმებთან. მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით გადაწყდა ფოკუსირების გაკეთება იმ მოზარდებზე, ვინც თავისი დროის უმეტეს ნაწილს სკოლაში ატარებს (ამ ასაკის მთელი პოპულაციის 70-75%). შერჩევის ჩარჩო შედგებოდა მთელ ქვეყანაში ყველა 9-11 კლასის სიისგან, რომელშიც 15-18 წლის მოზარდები სწავლობდნენ. ეს სია მოწოდებული იყო განათლების სამინისტროს მიერ და გადამოწმდა რეგიონებში. საბოლოო სია 8759 კლასისგან შედგებოდა და თან ირთავდა ინფორმაციას ენის, რეგიონის, სკოლის ტიპისა და კლასის ნომრის შესახებ. შვეიცარიის ჯგუფის სტატისტიკოსის მიერ ჩატარდა რანდომიზირებული კლასტერული შერჩევა. შერჩევის ფრაქცია 15%-ით მომატებული იყო იმისათვის, რომ მომხდარიყო გარკვეული სკოლების თუ კლასების დეფექტების დაფარვა [195]. საბოლოოდ შეირჩა 599 კლასი (დაახლოებით 10 ათასი მოსწავლე).

## საველე სამუშაოები

საველე სამუშაოები ჩატარეს მოზარდთა მედიცინის სფეროში მომუშავე ექიმებმა და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებმა. ჩატარდა ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ამ ანონიმური კითხვარების დისტრიბუცია კლასებში. იმისათვის, რომ ქვეყნის ზოგიერთ რეგიონში დედაქალაქის წარმომადგენლების მიმართ გარკვეულ უნდობლობას ხელი არ შეეშალა პროცესისათვის, მოხდა ადგილობრივი ლიდერების ჩართვაც. კითხვარების შევსებისათვის განკუთვნილ დროს (2 გაკვეთილი) მასწავლებლები კლასში არ იმყოფებოდნენ. საველე მუშაკებს ჰქონდათ ოფიციალური წერილი განათლების სამინისტროდან ყველა რეგიონალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების სახელზე.

## მონაცემთა დამუშავება

შევსებული კითხვარების კომპიუტერში შეტანამდე მოხდა ყველა კითხვარის ედიტირება [192]. ედიტირება ჩაატარეს ე.წ. რედაქტორებმა, რომლებსაც წინასწარ ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი და დაურიგდათ წერილობითი ინსტრუქციებიც. მოხდა ურთიერთგამომომრიცხავი ინფორმაციის გასწორება, კომენტარებისა და ტექსტური პასუხების თარგმნა ქართულიდან, რუსულიდან, სომხურიდან და აზერბაიჯანულიდან ინგლისურ ენაზე, ძნელად გასარჩევი ინფორმაციის ტრანსკრიპცია. მოხდა კითხვარების პირველადი სუბიექტური შეფასება სამბალიან შკალაზე (1 – ცოტა პრობლემა ან პრობლემები არ არის; 2 – რიგი პრობლემებისა; 3 – ბევრი პრობლემა). აგრეთვე შეფასდა კითხვარის შევსებადობა. ედიტორებმა ნებისმიერი, წერილობით ინსტრუქციაში არგანხილული საკითხის თავისეული გადაწყვეტილება ჩაწერეს ცალკე.

ადგილობრივად შეირჩა და ტრეინინგი ჩაუტარდათ ოპერატორებს. მათ აგრეთვე მიიღეს წერილობითი ინსტრუქციები. გამოყენებულმა პროგრამამ – EpiData საშუალება მოგვცა წინასწარ შეგვეზღუდა შესაძლო შეცდომები მონაცემების შეყვანისას. ოპერატორებს კითხვარში მოცემული ინფორმაციის გარდა შეყავდათ აგრეთვე ოპერატორის ხელით მიწერილი ინფორმაცია კითხვარის ვალიდობის შესახებ და თუ რა ენაზე იყო მოცემული კითხვარი.

## კომპიუტერული უზრუნველყოფა

მუშაობაში გამოყენებული იყო *PHProjekt* ([www.phprojekt.com](http://www.phprojekt.com)), უფასო ვებ-მისამართი, რომელიც საშუალებას იძლეოდა პროექტის მონაწილეებს გაეზიარებინათ საკუთარი აზრი და შეკითხვები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კი არა, არამედ ინტერნეტული ფორუმის ფორმით, უფრო სწრაფად და ინტერაქტიურად.

კითხვარების შეყვანა ხდებოდა მონაცემთა ბაზაში EpiData.

## ეთიკური საკითხები

ქართული კითხვარი წარმოდგენილი იყო აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიოეთიკური კომისიის წინაშე. გათვალისწინებული იყო ეთიკური და ლეგალური მოთხოვნები მოზარდთა პოპულაციაში გამოკითხვის ჩატარების თაობაზე [53,114,139]. გამოკითხვაში მონაწილეობა სრულიად ნებაყოფლობითი იყო, ხოლო კითხვარები კი – ანონიმური. მონაწილეებს გააცნეს გამოკითხვის მიზანი და ის ფაქტი, რომ მოცემული გამოკითხვა სკოლისგან სრულიად დამოუკიდებელი იყო. საველე მუშაკებს, ვინც კითხვარები დაარიგეს, საჭიროების შემთხვევაში შეეძლოთ დაინტერესებული მოზარდებისთვის საჭირო მისამართებისა და ინფორმაციის მიწოდება.

## ანალიზის მათემატიკური მეთოდები

მიღებული მონაცემების მათემატიკური ანალიზი დასმულ ამოცანებს შეესაბამებოდა და მოიცავდა ვარიაციული სტატისტიკისა და სტატისტიკური გამოკვლევების შედეგების სანდოობის შეფასების არაპარამეტრულ მეთოდებს (ვილკოქსონისა და ვან დერ ვერდენის კრიტერიუმების განსაზღვრას). მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება განხორციელდა SPSS v11.0 (SPSS Inc., Chicago, Illinois 60606). jEdit გამოყენებული იყო SPSS სინტაქსური ფაილების შესაქმნელად.

### 3. ჩატარებული კვლევის შედეგები

#### 3.1. მოზარდებში სასუნთქი სისტემის დაავადებების სიხშირის ტენდენციები

განალიზებული იქნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო სტატისტიკის ცენტრის მასალები, რომელიც ეხებოდა მოზარდებში სასუნთქი სისტემის სხვადასხვა ნოზოლოგიური ერთეულით დაავადებებიანობასა და ავადობას.

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ტაბულებზე (იხ. ტაბ. 5-18).

გამოკვეთილი დინამიკა სასუნთქი სისტემის დაავადებების სიხშირის მხრივ მოზარდებში არ აღინიშნება. თვალსაჩინოა მხოლოდ ტუბერკულოზის გახშირების გარკვეული ტენდენცია.

ტაბულა 5. სასუნთქი ორგანოების დაავადებები 15-17 წლის ასაკის მოზარდებში.

	1998		1999		2000		2002		2003		2005	
	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B
აფხაზეთი	182	68	1697	655	1352	404	1312	309	1316	335	1613	1116
აჭარა	90	46	623	376	608	310	501	260	634	379	934	613
ქთბილისი	16	8	1454	1377	1360	1269	1206	1072	1391	1269	3585	1591
კახეთი	28	13	376	281	356	222	334	210	315	171	330	179
იმერეთი	192	75	1092	687	1028	603	1386	821	1525	869	1722	1030
სამეგრელო	322	130	664	283	671	238	688	264	798	348	902	416
შიდა ქართლი	20	12	181	110	199	148	416	351	628	540	494	381
ქვემო ქართლი	33	10	152	96	301	123	269	71	208	80	236	90
გურია	21	5	260	225	265	229	437	396	363	323	495	448
სამცხე - ჯავახეთი	157	129	158	71	179	95	286	119	443	223	646	315
მცხეთა - მთიანეთი	71	18	171	66	170	105	203	128	174	120	320	224
რაჭა - ლეჩხუმი	3	3	219	212	189	145	348	227	373	174	306	131
რკინიგზის დეპარტამენტი	20	20	98	49	39	19	62	30	61	30		
საქართველო	1155	537	7145	4488	6717	3910	7448	4258	8229	4861	11583	6534

A – რეგისტრირებული ავადმყოფები სულ

B – ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები

ტაბულა 6. ქრონიკული ფარინგიტი, ნაზოფარინგიტი, სინუსიტი მოზარდებში.

	1998		1999		2000		2002		2003		2005	
	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B
აფხაზეთი	198	25	481	116	346	67	412	74	457	76	357	208
აჭარა	14	8	75	34	84	39	97	38	145	84	177	103
ქთბილისი	6	4	24	9	21	9	23	6	22	7	36	8
კახეთი	39	14	35	25	34	22	23	13	19	7	40	16
იმერეთი	27	9	94	59	61	26	161	95	204	107	232	104
სამეგრელო	13	4	82	27	98	40	126	32	148	56	182	73
შიდა ქართლი	4	4	20	6	21	4	50	41	106	91	45	15
ქვემო ქართლი	14	8	22	7	103	32	78	8	30	3	40	14
გურია	4	1	5		3	1	8	4	13	8	27	22
სამცხე - ჯავახეთი			24	2	39	22	54	17	92	52	218	87
მცხეთა - მთიანეთი	4	2	16	6	10	6	12	7	8	4	29	26
რაჭა - ლეჩხუმი			15	12	16	13	50	31	49	8	34	9
რკინიგზის დეპარტამენტი			4	2	6	6	12	5	9	3		

საქართველო	323	79	897	305	842	287	1106	371	1302	506	1417	685
------------	-----	----	-----	-----	-----	-----	------	-----	------	-----	------	-----

A – რეგისტრირებული აკადემიკოსები სულ

B – ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული აკადემიკოსები

ტაბულა 7. ალერგიული სურდო (პოლინოზი) მოზარდებში.

	1998		1999		2000		2002		2003		2005	
	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B
აფხაზეთი	57	19	260	62	208	29	233	35	188	32	179	75
აჭარა	64	38	24	15	37	16	26	10	34	13	64	34
ქთბილისი	10	4	9	7	6	3	7	4	7	4	97	50
კახეთი	26	5	52	29	33	5	22	8	19	2	34	7
იმერეთი	58	33	30	12	35	15	103	50	114	45	171	72
სამეგრელო	10	1	10	3	10	4	30	21	53	23	86	42
შიდა ქართლი	21	14	2				39	38	39	30	36	29
ქვემო ქართლი	26	10	13	11	18	7	16	5	16	10	14	10
გურია	4	1	13	3	10	8	3		8	5	14	11
სამცხე - ჯავახეთი	27	18	1	1	5	3	11	2	13	2	28	24
მცხეთა - მთიანეთი	9	3					10	9	3	1	17	8
რაჭა - ლეჩხუმი					6	6	29	10	30	13	14	1
რკინიგზის დეპარტამენტი			30	15	6	3	10	3	4	1		
საქართველო	312	146	444	158	374	99	539	195	528	181	754	363

A – რეგისტრირებული ავადმყოფები სულ

B – ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული ავადმყოფები

ტაბულა 8. პნევმონია მოზარდებში.

	1998		1999		2000		2002		2003		2005	
	A	B	A	B	A	B	A	B	A	B	A	B
